თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7313426

ნომერი: AR11067429

თარიღი : 25.11.2024

გაცემის თარიღი : 09.12.2024

გაცნობის თარიღი : 10.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ივანე კერესელიძის ქუჩა N17;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ტყეშელაშვილი პ/ნ 01017017470
- თბილისი ი.გოგებაშვილი-ივ.კერესელიძის ქ. N 9/19

ორგანიზაცია:
- შპს ურბანჰოტელი კოდი: 404454256

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 25 ნოემბერს №AR11067429 განცხადებით მომართა ზაზა ტყეშელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებით, №01.15.02.040.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 30 აგვისტოდან 2025 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სამსახურის 2024 წლის 1 ოქტომბრის №7234017 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 657.7 კვ.მ., საერთო ფართობად - 1272.2 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 20 სექტემბრის №AR11058514 განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 657.7 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 681.5 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 285.8 კვ.მ-ის ნაცვლად 288.4 კვ.მ. დამხმარე ფართობი - 29.7 კვ.მ-ის ნაცვლად 21.4 კვ.მ., ავტოსადგომის 195.2 კვ.მ-ის ნაცვლად 152.5 კვ.მ., საერთო ფართობი 1272.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1247.6 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებაში და საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 681.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 288.4 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 21.4 კვ.მ., ავტოსადგომის - 152.5 კვ.მ., საერთო ფართობად - 1247.6 კვ.მ.
2. სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (სამსახურის 2024 წლის 1 ოქტომბრის №7234017 ბრძანების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 აგვისტოს №7200230 და 2024 წლის 1 ოქტომბრის №7234017 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.